

სარჩევი

სისტემაში რეგისტრაცია	2
საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია	5
ეტაპი 2 - კითხვარი	5
ეტაპი 3 - ზოგადი ინფორმაცია	6
ეტაპი 4 - პროგრამები	7
ეტაპი 5 - დადასტურება	9
რედაქტირება.....	10
რეგისტრაციის გაუქმება	11
პაროლის აღდგენა	12
პირველადი საფეხურის პროფესიული ტესტირების შედეგები	13
რეიტინგული ჩამონათვალის ცვლილება.....	14

პროფესიული განათლების მისაღებად აუცილებელია დარეგისტრირდეთ, შექმნათ პირადი მომხარებელი და პაროლი, გაიაროთ სისტემაში ავტორიზაცია და აირჩიოთ თქვენთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.

სისტემაში რეგისტრაცია

1. რეგისტრაციის გავლის მიზნით, ვებგვერდიდან აირჩიეთ ღილაკი „რეგისტრაცია“



2. მონიშნეთ თქვენი მოქალაქეობა, მიუთითეთ პირადი ნომერი, სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, აირჩიეთ სქესი, შესაბამის ველებში მიუთითეთ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი - რეგიონი, რაიონი, მისამართი, საკონტაქტო მობილურის ნომერი, ელ.ფოსტა, პაროლი, გაიმეორეთ პაროლი უსაფრთხოების მიზნით, გაცანით შესაბამის შეტყობინებას და თანხმობის შემთხვევაში მონიშნეთ შესაბამისი ღილაკი. ყველა სავალდებულო ველის შევსების შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „რეგისტრაცია“.

მოქალაქეობა

საქართველოს მოქალაქე (ბინადრობის მოწმობის მქონე)
 უცხო ქვეყნის მოქალაქე (ბინადრობის მოწმობის არმქონე)

პირადი მონაცემები

* პირადი ნომერი შეიყვანეთ მხოლოდ რიცხვები

* დაბადების თარიღი

* სახელი

* გვარი

* სქესი

ფაქტიური საცხოვრებელი ადგილი

* რეგიონი

* რაიონი

* მისამართი

* მობილური

* ელფოსტა

* პაროლი - უნდა იყოს მინ. 6 სიმბოლო

* გაიმეორეთ პაროლი

თქვენს მიერ პროფესიული განათლების მიღების მსურველთა სარეგისტრაციო ვებ-გვერდზე (vet.emis.ge) განთავსებული ინფორმაცია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, მათ შორის, შესაძლოა შეიცავდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემები შესაძლოა დამუშავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად.


გავეცანი და ვეთანხმები წესებს

რეგისტრაცია

შენიშვნა #1:


- საქართველოს მოქალაქე/ბინადრობის მოწმობის მქონე - უნდა მონიშნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხართ საქართველოს მოქალაქე ან ბინადრობის მოწმობის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე;
- უცხო ქვეყნის მოქალაქე/ბინადრობის მოწმობის არ მქონე - უნდა მონიშნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ხართ უცხო ქვეყნის მოქალაქე ან საქართველოში მცხოვრები, ბინადრობის მოწმობის არ მქონე მოქალაქე;
- რეგისტრაციის დროს მითითებულ ელ.ფოსტაზე მიიღებთ მომხმარებლის აქტივაციის ბმულს;
- გაითვალისწინეთ, მნიშვნელოვანია ელ.ფოსტა და ტელეფონი მიუთითოთ სწორად;
- სავალდებულოა პაროლის ველში შეიყვანოთ მინიმუმ 6 სიმბოლო (A-Z, 0-9) და იგივე პაროლი გაიმეორეთ შესაბამის ველში. მითითებული პაროლი გამოიყენეთ სისტემაში შესასვლელად.
- ფორმაში არსებული ყველა ველის შევსება სავალდებულოა. იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე ველი არაკორექტულად იქნა შევსებული ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.

- რეგისტრაციის წარმატებით დასრულების შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი შეტყობინება და პარალელურ რეჟიმში თქვენს მიერ მითითებულ ელ.ფოსტაზე გამოგზავნებათ მომხმარებლის აქტივაციის/ვერიფიკაციის ბმული.



შენიშვნა #2

- თუ მითითებულ ელ.ფოსტაზე არ გამოგვგზავნათ მომხმარებლის აქტივაციის ბმული, განმეორებით ბმულის გასაგზავნად დააჭირეთ ღილაკს „აქტივაციის ლინკის განმეორებით გამოგზავნა“ .
 - მითითებულ ელ.ფოსტას ველარ გამოიყენებთ სხვა მომხმარებლისთვის.
4. ბმულის გააქტიურების მიზნით შედით მითითებულ ელ.ფოსტაზე და დააჭირეთ მიღებულ ბმულს.



5. ბმულის წარმატებით გააქტიურების შემდეგ, ეკრანზე გამოჩნდება შესაბამისი შეტყობინება და ავტორიზაციის ბმული. საგანმანათლებლო პროგრამების ასარჩევად და სისტემაში შესასვლელად დააჭირეთ მითითებული ბმულს.




6. შესაბამის ველებში მიუთითეთ ელ.ფოსტა, პაროლი და დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“.

გაითვალისწინეთ:

სისტემაში ავტორიზაციისთვის უნდა გამოიყენოთ რეგისტრაციის დროს მითითებული ელ.ფოსტის მისამართი და პაროლი.

საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაცია

სისტემაში ავტორიზაციის შემდეგ თქვენ ავტომატურად აგრძელებთ რეგისტრაციას მეორე ეტაპიდან



ეტაპი 2 - კითხვარი

რეგისტრაციის მეორე ეტაპზე შეავსეთ კითხვარი კერძოდ, საიდან გაიგეთ რეგისტრაციის შესახებ, რა პრინციპით შეარჩიეთ დაწესებულება და საგანმანათლებლო პროგრამა, რეგისტრაციის მომენტისათვის რა სტატუსით სარგებლობთ (სწავლობთ, მუშაობთ) და რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

კითხვარი

გთხოვთ შეავსოთ კითხვარი !

- * საიდან გაიგეთ რეგისტრაციის შესახებ?
- * საგანმანათლებლო პროგრამა თავად შეარჩიეთ თუ გირჩიათ ვინმემ?
- * რა პრინციპით შეარჩიეთ სასწავლებელი?
- * რა პრინციპით შეარჩიეთ პროგრამა?
- * ამ ეტაპზე რა სტატუსით სარგებლობთ?

გაითვალისწინეთ, ყველა კითხვის შევსება სავალდებულოა!



ეტაპი 3 - ზოგადი ინფორმაცია

რეგისტრაციის მესამე ეტაპზე, შესაბამის ველებში აირჩიეთ განათლება, საგამოცდო ქალაქი და ტესტირების ენა.

საჭიროების შემთხვევაში მონიშნეთ აპლიკანტის სტატუსი: სპეციალური საჭიროების მქონე პირი, ტესტირებისთვის ადაპტირებული გარემო და რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

ზოგადი ინფორმაცია

* განათლება * საგამოცდო ქალაქი * ტესტირების ენა

სტატუსი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი

სხვა საკონტაქტო პირის სახელი გვარი ტელეფონი

ტესტირებისთვის ადაპტირებული გარემო

გადაადგილება (ლიფტი, პანდუსი)

შრიფტის გაზრდა

გაითვალისწინეთ: თუ მონაწილეობას იღებდით გასულ პროფესიულ ტესტირებში, მაგრამ ვერ ჩაირიცხეთ, თქვენ გაქვთ უფლება გასული ტესტირებისას მიღებული შეფასებით მიიღოთ მონაწილეობა და შეინახოთ წინა პროფესიული ტესტირების ფარგლებში მიღებული შედეგები. შედეგების შენახვის მიზნით, მესამე ეტაპზე დამატებით გამოგიჩვენებათ შესაბამისი მოსანიშნი ველი: „მსურს, კონკურსში მონაწილეობა მივიღო წინა გამოცდის ქულებით“ და ჩაბარებული საგნები შესაბამისი შეფასებებით. სურვილის შემთხვევაში, მონიშნეთ აღნიშნული ველი და რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“.

შედეგები

თუ აპლიკანტი ტესტირების საფუძველზე ვერ მოიპოვებს სწავლის გაგრძელების უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე უფლება აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის ტესტირებაში მიღებული ქულა/ქულები შეინახოს და გამოიყენოს მხოლოდ ერთხელ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველადი საფეხურის მომდევნო ტესტირების მიზნებისთვის.


მსურს კონკურსში მონაწილეობის მიღება წინა გამოცდის ქულებით

#	ჩაბარებული საგანი	მიღებული ქულა
1	ტესტი ზოგად უნარებში	45
1	ტესტი უცხო ენაში	45

შენიშვნა #1

- თუ გაქვთ **საბაზო** განათლება, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ, მხოლოდ ის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები რომელთა წინაპირობაა საბაზო განათლება.

- თუ ხართ არასრულწლოვანი, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ, მხოლოდ ის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, სადაც მინიმალური ასაკი არ არის შეზღუდული.
- თუ ტესტირების ენად აირჩევთ არაქართულ ენას (სომხური, აზერბაიჯანული, რუსული), საშუალება გექნებათ აირჩიოთ, მხოლოდ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები.
- თუ ტესტირების ენად აირჩევთ რუსულს, მაშინ რუსულს ველარ აირჩევთ ჩასაბარებელ საგნად, როგორც უცხო ენას.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტატუსის მონიშვნის შედეგად გამოსული შეტყობინების გაცნობა სავალდებულოა. ასევე, სავალდებულოა შეავსოთ სხვა საკონტაქტო პირის სახელი, გვარი და საკონტაქტო ტელეფონი.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტატუსის მონიშვნის შემთხვევაში, შეგიძლიათ აირჩიოთ არაუმეტეს 3 საგანმანათლებლო პროგრამა.
- სტატუსი - „ტესტირებისთვის ადაპტირებული გარემო“ შეგიძლიათ მონიშნოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტესტირებისთვის გესაჭიროებათ სპეციალური გარემო (კერძოდ - გადაადგილება ან პროგრამაში შრიფტის გაზრდა).
- თუ გასული მიღების შეფასებით იღებთ მონაწილეობას (ინახავთ წინა პროფესიული ტესტირების ფარგლებში მიღებულ ქულას), მაშინ შეგიძლიათ აირჩიოთ, მხოლოდ ის საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლებსაც შეესაბამება თქვენს მიერ ჩაბარებული საგნები. შედეგის გამოყენების მონიშვნის შედეგად გამოსული შეტყობინების გაცნობა სავალდებულოა.
- იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე ველი არასწორად იქნა მონიშნული ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.



ეტაპი 4 - პროგრამები

რეგისტრაციის მეოთხე ეტაპზე პროგრამების დამატების მიზნით პროგრამების ძეგნის ბლოკში არსებული ველების (რეგიონი, რაიონი, მიმართულება, დარგი, საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამა) მიხედვით მოძებნეთ სასურველი პროგრამების ჩამონათვალი. ჩამონათვალიდან აირჩიეთ თქვენთვის სასურველი საგანმანათლებლო პროგრამა და დამატების ღილაკის საშუალებით დაამატეთ.

პროგრამის ძებნა

რეგიონი: თბილისი | რაიონი: ვაკე-საბურთალო | მიმართულება: ინჟინერია | დარგი: კომპიუტინგი/ინფორმატიკა

საგანმანათლებლო დაწესებულება: | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

ძებნა გასუფთავება

#	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის ტიპი	საგანმანათლებლო დაწესებულება	პროგრამის განხორციელების ადგილი	დამატება
1	ვებ ინტერფეისის დეველოპერი	მოდულური	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	ვაკე-საბურთალო, ფანჯიკიძის N1ა	+
2	ვებინტერფეისის დიზაინერი	მოდულური	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	ვაკე-საბურთალო, ფანჯიკიძის N1ა	+
3	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	მოდულური	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	ვაკე-საბურთალო, ფანჯიკიძის N1ა	+
4	კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორი	მოდულური	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	ვაკე-საბურთალო, ფანჯიკიძის N1ა	

არჩეული პროგრამების პრიორიტეტების დალაგების მიზნით გამოიყენეთ გადაადგილების ღილაკი, ხოლო გასაუქმებლად გამოიყენეთ წაშლის ღილაკი.

არჩეული პროგრამები პრიორიტეტებით

#	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	საგანმანათლებლო დაწესებულება	პროგრამის განხორციელების ადგილი	გადალაგება	აშოშლა
1	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	ვაკე-საბურთალო, ფანჯიკიძის N1ა	↑ ↓	⊖
2	სამგანმომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	ვაკე-საბურთალო, ფანჯიკიძის N1ა	↑ ↓	⊖

თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასაბარებელ საგნად არის უცხო ენა, მაშინ აუცილებელია უცხო ენის არჩევა, რომ შეძლოთ შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამის დამატება

ჩასაბარებელი საგნები

საბაზო აკადემიური უნარების ტესტი (სომხ.)

ინგლისური
გერმანული
ფრანგული
რუსული

რეგისტრაციის გაგრძელების მიზნით დააჭირეთ ღილაკს „შემდეგი“

შენიშვნა #2

- სავალდებულოა აირჩიოთ მინიმუმ ერთი საგანმანათლებლო პროგრამა
- საგანმანათლებლო პროგრამების დამატების რაოდენობა შეზღუდული არ არის.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის შესაძლებელია მხოლოდ 3 საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა.
- პირველივე არჩეული პროგრამის მიხედვით იზღუდება პროგრამის არჩევის საშუალება. მაგ: თუ პირველ პროგრამას აირჩევთ ინჟინერიის

მიმართულებით, შეძლებთ დაიმატოთ მხოლოდ ის დარგები, სადაც ჩასაბარებელი საგნები ერთი და იგივეა.

- იმ შემთხვევაში თუ, რომელიმე ველი არასწორად იქნა არჩეული ეკრანზე გამოვა შესაბამისი შეტყობინება.



ეტაპი 5 - დადასტურება

რეგისტრაციის მეხუთე ეტაპზე თქვენ ასრულებთ რეგისტრაციას. ერთჯერადი უნიკალური კოდი გეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინებით მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე. აღნიშნულის პარალელურად მითითებულ ელ.ფოსტაზე გეგზავნებათ თქვენს მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, დალაგებული პრიორიტეტების მიხედვით. სურვილის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ბეჭდვის ღილაკით დაბეჭდოთ სარეგისტრაციო ფურცელი.

თქვენ წარმატებით გაიარეთ რეგისტრაცია !!!

სახელი გვარი :

პირადი ნომერი :

მობილური :

განათლება :

საგამოცდო ქალაქი :

ტესტირების ენა :

პირველი პროგრამები პრიორიტეტებით

#	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	საგანმანათლებლო დაწესებულება	პროგრამის განხორციელების ადგილი
1	კონდიტერი	ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯი იკაროსი	ვაკე-საბურთალო, მარშალ-გელოვანის გამზ. №4

ჩასაბარებელი საგნები

#	საგნის დასახელება
1	საბაზო აკადემიური უნარების ტესტი
2	ტესტი ბუნებისმეტყველებაში (ქიმია, ბიოლოგია)

შენიშვნა #3

- ერთჯერადი კოდის საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებთ გარკვეულ ცვლილებებს;
- ცვლილებების შემდეგ განმეორებით გეგზავნებათ ახალი ერთჯერადი კოდი;

რედაქტირება

- ავტორიზაციის გავლის მიზნით, ვებგვერდიდან აირჩიეთ ღილაკი „ავტორიზაცია“.




- შესაბამის ველებში მიუთითეთ ელ.ფოსტა, პაროლი და დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“.

გაითვალისწინეთ:

სისტემაში ავტორიზაციისთვის უნდა გამოიყენოთ რეგისტრაციის დროს მითითებული ელ.ფოსტის მისამართი და პაროლი.

- ეკრანიდან აირჩიეთ ღილაკი აპლიკანტის რედაქტირება.




შესაბამის ველებში მიუთითეთ თქვენი პირადი ნომერი, მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიღებული ერთჯერადი უნიკალური კოდი და დააჭირეთ ლილაკს „რედაქტირება“

გაითვალისწინეთ: ნებისმიერი მონაცემის რედაქტირების შემდეგ თქვენ გამოგეგზავნებათ განმეორებით ახალი ერთჯერადი უნიკალური კოდი.

რეგისტრაციის გაუქმება

1. რეგისტრაციის გაუქმების მიზნით ეკრანიდან აირჩიეთ ლილაკი აპლიკანტის გაუქმება.




2. შესაბამის ველებში მიუთითეთ თქვენი პირადი ნომერი, მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიღებული ერთჯერადი უნიკალური კოდი, აირჩიეთ რეგისტრაციის გაუქმების მიზეზი და დააჭირეთ ლილაკს „გაუქმება“.

გაითვალისწინეთ: რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გამოგეგზავნებათ მოკლე ტექსტური შეტყობინება.


პაროლის აღდგენა

1. პაროლის აღდგენის მიზნით აირჩიეთ „დაგავიწყდათ პაროლი“.




The screenshot shows a login form titled "ავტორიზაცია" (Authorization). It contains two input fields: "ელ-ფოსტა" (Email) and "პაროლი" (Password). Below the password field, the link "დაგავიწყდა პაროლი?" (Forgot password?) is circled in red. At the bottom, there is a red button labeled "შესვლა" (Login).

2. შესაბამის ველებში შეიყვანეთ თქვენი პირადი ნომერი და რეგისტრაციის დროს მითითებული ელ.ფოსტა დააჭირეთ ლილაკს „პაროლის აღდგენა“.




The screenshot shows a form titled "პაროლის აღდგენა" (Password recovery). It has two input fields: "პირადი ნომერი" (Personal number) and "ელ-ფოსტა" (Email). Both fields contain yellow bars representing masked input. At the bottom, there is a red button labeled "პაროლის აღდგენა" (Password recovery).

3. ეკრანზე გამორდება შესაბამისი შეტყობინება და მითითებულ ელ.ფოსტაზე გამოგეგზავნებათ პაროლის განახლების ბმული/ლინკი.



The screenshot shows a message box titled "პაროლის აღდგენა" (Password recovery). The text inside the box reads: "პაროლის განახლების ლინკი გადმოგზავნილია ელ-ფოსტაზე" (The link for password recovery has been sent to your email).

4. შედით ელ.ფოსტაზე და გააქტიურეთ პაროლის განახლების ბმული და განაახლეთ პაროლი.




პირველადი საფეხურის პროფესიული ტესტირების შედეგები


1. ტესტირების შედეგის ნახვის მიზნით აირჩიეთ ლილაკი „გამოცდის შედეგები“



2. შესაბამის ველში მიუთითეთ თქვენი პირადი ნომერი და დააჭირეთ ლილაკს „შედეგის ნახვა“



3. ეკრანზე გამოჩნდება თქვენ მიერ ჩაბარებული საგნები შესაბამისი შეფასებებით.




#	საგანი	ქულა
1	საბაზო აკადემიური უნარების ტესტი (რუს.)	45
2	ინგლისური	22.86

რეიტინგული ჩამონათვალის ცვლილება

რეგისტრაციისას არჩეული პროგრამების რეიტინგული ჩამონათვალის ცვლილების განხორციელების მიზნით თქვენ შეგიძლიათ დაამატოთ, წაშალოთ ან პრიორიტეტების მიხედვით გადაალაგოთ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამები მხოლოდ ჩაბარებული საგნების მიხედვით.

1. ეკრანიდან აირჩიეთ ღილაკი **არჩევანის ცვლილება**



2. შესაბამის ველში მიუთითეთ თქვენი პირადი ნომერი და დააჭირეთ ღილაკს **„ცვლილება“**

A form titled 'არჩევანის ცვლილება' (Change Selection) in red. It contains a red asterisk and the text '* პირადი ნომერი' (Personal Number). Below this is a white input field with a yellow background. At the bottom is a red button with the text 'ცვლილება' (Change Selection).

3. გამოსულ ფანჯარაში შეგიძლიათ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამები გადაალაგოთ პრიორიტეტების მიხედვით, დაამატოთ ახალი საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები ან წაშლოთ.

არჩევანის ცვლილებების შესანახად უნიკალური კოდის ველში შეიყვანეთ ოთხ ნიშნა კოდი და დააჭირეთ ღილაკს **„შემდეგი“**

პროგრამის ძიება

რეგიონი რაიონი მიმართულება დარგი

საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ძიება გასუფთავება

#	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროგრამის ტიპი	საგანმანათლებლო დაწესებულება	პროგრამის განხორციელების ადგილი	დამატება
1	ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი	მოდულური	სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისი"	გლდან-ნაძალადევი, თბილისი, გურამიშვილის გამზირი 72 ბ	+
2	ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი)	საგნობრივი	სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "მერმისი"	გლდან-ნაძალადევი, თბილისი, გურამიშვილის გამზირი 72 ბ	+

1

არჩეული პროგრამები პრიორიტეტებით

#	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	საგანმანათლებლო დაწესებულება	პროგრამის განხორციელების ადგილი	გადალაგება	ამოშლა
1	სამგანმომილებიანი გრაფიკის სპეციალისტი (გენერალისტი)	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	ვაკე-საბურთალო, ფანჯიკიძის N1ა	↑ ↓ ⊖	⊖
2	საგამომცემლო საქმის ტექნიკური დიზაინერი	სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა	ვაკე-საბურთალო, ფანჯიკიძის N1ა	↑ ↓ ⊖	⊖

ჩასატარებელი საგნები

საბაზო აკადემიური უნარების ტესტი (რუს.) ინგლისური

უნიკალური კოდი

შედეგი

გაითვალისწინეთ:

- საგანმანათლებლო პროგრამების დასამატებლად გამოიყენეთ საძიებო ველები : რეგიონი, რაიონი, მიმართულება, დარგი, საგანმანათლებლო დაწესებულება ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
- ყველა საძიებო ველის შევსება სავალდებულო არ არის.
- არჩეული საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტების გადალაგების მიზნით გამოიყენეთ სანავიგაციო ისრები.
- პროგრამების წასაშლელად გამოიყენეთ მინუს ღილაკი.
- უნიკალური კოდი გამოგზავნილი გაქვთ ელექტრონული შეტყობინების (sms) სახით, რეგისტრაციის დროს მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე.
- არჩევანის ცვლილების დროს განმეორებით გამოგეგზავნებათ ახალი ელექტრონული შეტყობინება (sms).